საქართველო, თბილისი, 0177
გ. კარტოზიას ქ. 10

10 G. Kartozia Str.
0177, Tbilisi, Georgia

+ (995 32) 2 444 111
info@m2.ge | www.m2.ge

შპს ,,ემკვადრატი იპოდრომთან''
“m2 at Hippodrome” LLC
ს/კ 405108244 I/D

N34_P_ Hippo24 **03 ივლისი,2024 წელი**

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, მე, **გურამ ახვლედიანი** (პირადი ნომერი: 01033000211) მოქმედი როგორც **შპს „ემკვადრატი იპოდრომთან“** (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405108244) **დირექტორი** (შემდგომში - მარწმუნებელი) უფლებამოსილებას ვანიჭებ **მარიამ ჭულუხაძეს** (პირადი ნომერი: 01019070369) (შემდგომში - რწმუნებული), რათა მან განახორციელოს შემდეგი ქმედებები მარწმუნებლის და კომპანიის სახელით:

- წარმოადგინოს/დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კომპანიის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, გივი კარტოზიას ქუჩა #10-ში მდებარე ფართის (საკადასტრო კოდი: 01.10.16.004.194.02.04.010) სამშენებლო განვითარებას.
- რწმუნებული უფლებამოსილია, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, ასევე, კერძო ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, განაცხადს, ოფიციალურ საბუთს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადებებს/განაცხადებს (მათ შორის, მშენებლობის ნებართვის აღებისა (სამივე სტადია) და პირველი კლასის ობიექტების განთავსების თაობაზე განცხადებას), შეიტანოს, წარადგინოს/ატვირთოს (მათ შორის - ელექტრონულად), ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებში ყველა სახის განცხადება, განაცხადი, მითითება, დოკუმენტაცია; ჩაიბაროს/გამოიტანოს/გამოითხოვოს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ მიერ მომზადებული ნებისმიერი საბუთი/დოკუმენტი ან/და ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი, წარადგინოს ნებისმიერი აუცილებელი დოკუმენტაცია, წერილები, აქტები, ბრძანებები, ხელი მოაწეროს განაცხადებს და სხვა საბუთებს, გადაიხადოს ნებისმიერი მოსაკრებელი და ბაჟი, წარადგინოს მოსაკრებლისა და ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- აღნიშნული მინდობილობა ასევე გულისხმობს რწმუნებულის ნებისმიერ ამ მინდობილობაში გაუთვალისწინებელი ქმედების უფლებამოსილებასაც, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული ფართის სამშენებლო განვითარებისათვის.

მინდობილობა ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „ემკვადრატი იპოდრომთან“-ის დირექტორი

გურამ ახვლედიანი



